კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სილაბუსი

სასწავლო კურსის დასახელება
„მეტადიპლომატია - დიპლომატიური სპეციალობების სამყარო“

სასწავლო კურსის კოდი -

სასწავლო კურსის სტატუსი	ფაკულტეტი სოციალურ მეცნიერებათა
	სწავლების საფეხური ბაკალავრიატი
	პროგრამა ჟურნალისტიკის / საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
	სპეციალობის სავალდებულო / არჩევითი სასწავლო კურსი

ინფორმაცია სასწავლო კურსის განმახორციელებლ(ებ)ის შესახებ	სახელი, გვარი ალექსანდრე რუსეცკი
	სამეცნიერო ხარისხი ფსიქოლოგიის დოქტორი; პოლიტიკური მეცნიერების დოქტორანტი
	დაკავებული აკადემიური თანამდებობა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - კავკასიის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორიის ხელმძღვანელი
	ტელ.: 555 122375
	E-mail: alex_scirs@yahoo.com
	კონსულტაციის დღე: ყოველი კვირის - სამშბათი 12.00-13.00

ECTS	5 კრედიტი = 125 საათი	
	ლექცია	სთ 13
	სამუშაო ჯგუფში მუშაობა (სემინარები (26)/პრაქტიკული მეცადინეობები/კონსულტაციები (13))	სთ 39
	საშინაო დავალდების/ რეფერატის / პროექტის პრეზენტაცია/	სთ 6
	შუალედური და დასკვნითი გამოცდა	სთ 6 (3+3)
	დამოუკიდებელი მუშაობა	სთ 61

სასწავლო სემესტრი	**მე-5 სემესტრი**

დაშვების წინაპირობები	**არაა**

სასწავლო კურსის მიზანი:

სასწავლო კურსის მიზანია -

- მომავალი დიპლომატების ინფორმირება სფეროში არსებული სპეციალობების და სპეციალიზაციების ფართე სპექტრის შესახებ.
- სტუდენტების დიპლომატიური პროფილით ღირსეული დასაქმების პროცესის ხელშეწყობისთვის მათი პროფესიულ სამყაროსთან ადაპტაცია და მაღალი კონკურენციის პირობებში კარიერის განვითარების ხელშეწყობა.

სწავლის შედეგები:

- სილაბუსი ხელს უწყობს მე-5 სემესტრის ბაკალავრიატის სტუდენტების პროფესიულ ადაპტაციას და დიპლომატიის მიმართულებით მათ ვიწროპროფესიული იდენტობების ჩამოყალიბების პროცესს.
- სასწავლო კურსი ხელს უწყობს პროფესიული კარიერის დაგეგმარებას და მასთან მიმართებაში - მომავალი წინასადიპლომო პრაქტიკების და საკვალიფიკაციო (სადიპლომო) ნაშრომის თემების შერჩევის პროცესს.
- სილაბუსი ზრდის სტუდენტების მომავალი განათლების და დასაქმების შესაძლებლობებს დიპლომატიის კლასიკურ და არაკლასიკურ დარგებში.

ცოდნა და გაცნობიერება

ცოდნა

- სტუდენტები მიიღებენ ცოდნას დიპლომატის პროფესიული სამყაროს მრავალფეროვნების შესახებ.
- სტუდენტები მიიღებენ ცოდნას მეტადიპლომატიის შესახებ, იმის თაობაზე თუ რა განსხვავებული თეორიები და მიდგომები აყალიბებენ დიპლომატიის განვითარების სტრატეგიებს და რამდენ მნიშვნელოვანია დიპლომატიის განხილვა მეცნიერებათმცოდნეობის ზოგად კომტექსტში.
- სამშვიდობო პროცესების სიმულაცია და მოდელირება
- სტუდენტები მიიღებენ ცოდნას იმ ფსიქოლოგიური უნარების და ჩვევების შესახებ, რომლებსაც უნდა ფლობდეს სხვადასხვა სპეციალიზაციის დიპლომატი.
- სტუდენტები მიიღებენ ინფორმაციას იმის თაობაზე თუ სად შეიძლება მოხდეს მათი მომავალი დასაქმება.

გაცნობიერება

- გაცნობიერებული განათლების ხარისხის ზრდა

- პროფესიულ იდენტობის გაძლიერება და მომავალი კარიერის შესაძლო სტრატეგიების გაცნობიერება

სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტმა იცის / აქვს:

იცის

- დიპლომატიის პროფესიული მრავალფეროვნება
- სად არის შესაძლებლობა რომ ღირსეულად დასაქმდეს

აქვს

- დიპლომატიური კარიერის განვითარების სტრატეგია.
- პროფესიასთან, სპეციალობასთან და ვიწროსპეციალიზაციებთან შესაძლო იდენტობათა სიმრავლე.
- სასურველი სავარაუდო სადიპლომო თემების სიმრავლე
- გარკვეული მიზანი სად გაიაროს სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა

უნარი

- განათლების და პროფესიული განვითარების გადაწყვეტილების მიღების უნარი
- პროფესიული თვითზრუნვის, თვითზრუნვის და თვითგანვითარების უნარი
- პროფესიული მომავლის (კარიერის) სტრატეგიული დაგეგმარების უნარი

სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია:

- დაგეგმოს სამშვიდობო პოლიტიკა მეტადიპლომატიის მრავალფეროვანი რესურსების ოპტიმალური გამოყენებით
- მოახდინოს სამშვიდობო პროცესების სიმულაცია და მოდელირება
- მოახდინოს პროფესიულ საზოგადოებაში ინტეგრაცია
- გაიაროს მე-7/8 სემესტრებში პროფესიული სტაჟირება ან პრაქტიკა ისეთ ორგანიზაციებში, რომლებიც აკმაყოფილებენ მისი პროფესიულ ინტერესებს და მოტივაციებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- სასწავლო კურსი ორიენტირებული სტუდენტის პროფესიული პასუხისგებლობის ხარისხის ზრდაზე. პროფესიული პასუხისგებლობა განიხილება გარემოში არსებულ პრობლემებთან მიმართებაში. სტუდენტს უძლიერდება მოტივაცია ცოდნის მიღების და პროფესიონალად ჩამოყალიბების მოტივაცია გამომდინარე იქედან რომ ის აცნობიერებს თავის პროფესიულ (ეგზისტენციურ) მისიას. სტუდენტის გადაწყვეტილება მომავალ დასაქმებასთან დაკავშირებით დაკავშირებულია იმ პროფესიულ სოციალურ პასუხისგებლობასთან, რომელსაც დიპლომატი უნდა განიცდიდეს კონკრეტული პრობლემების მოგვარებასთან მიმართებაში.
- სოციალური ზოგადად და პროფესიული პასუხისგებლობა კონკრეტულად - მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში წარმოადგენს **პოლიტიკური განათლების და კულტურის** ნაწილს. სილაბუსი ითვალისწინებს ამ მიმართულებით სტუდენტების ცოდნით უზრუნველყოფას.
- პროფესიული ეთიკიდან გამომდინარე, სტუდენტი ვალდებულია, რომ მიღებული ცოდნა გამოიყენოს საკუთარი თავის, ოჯახის, თემის, ერის და საერთაშორისო

საზოგადოების ინტერესებში და არ შეუწყოს ხელი საფრთხეების შემცველი მოქმედებების ხელშეწყობას.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები
სწავლა/სწავლების მეთოდათ შერჩეულია ავტორის მიერ შემუშვებული **„სწავლა-სწავლების ინტეგრირებული მეტაკოგნიტური მეთოდი“** (სიმ-მეთოდი). მეთოდმა გაიარა აპრობაცია საქართველოს და უცხოეთის უნივერსიტეტებში. მეთოდის მიზანია - სასწავლო/პროფესიული დეპრივაციის დონის მინიმალიზაცია და პროფესიული ბედნიერების მდგომერეობისკენ სწრაფვა. სიმ-მეთოდის საფუძველზე 2019 წლის 30 იანვარს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში დაცულია სადოქტორო დისერტაცია.